

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2016 წლის 29 ნოემბრის სხდომის

ოქმი № 41

ქ. მცხეთა. 14. 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

დღის წესრიგი:

საკითხი:1. 2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

საკითხი: 2. მცხეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებიდან გამონთავისუფლებული თანხით (108.2ათ. ლარი) ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

მოისმინეს პირველი საკითხი :

მომხსენებელმა კომისიას გააცნო ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი, რომელშიც წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, 18 ობიექტზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებები . აღინიშნა, რომ გათვალისწინებულ იქნა საკრებულოს 2016 წლის 18 ნოემბრის # 27 სხდომაზე საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

კომისიამ გადაწყვიტა: „2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი, გარკვეული შენიშვნების გათვალისწინებით, შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მოისმინეს მეორე საკითხი :

მომხსენებელმა კომისიას გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებიდან გამონთავისუფლებული თანხით (108.2ათ. ლარი) ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ“. აღნიშნული გადანაწილდა შემდეგნაირად: სოფლების ქსნის, ერედისა და ნიჩბისის ს/ბალების ინვენტარის შესაძენად შესაბამისად - 34,5 ათ.ლ; 29.7ათ. ლ; 13.5 ათ.ლ; და ძალისის ს/ბალის ცენტრალური გათბობისათვის 30.5 ათ.ლ.

კომისიამ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარე: გოჩა ლაბაური

წევრები: დავით ჯალაბაძე

დავით პაპიაშვილი

მალხაზ ნოზაძე

გალინა ახსაბაძე

თეიმურაზ მირესაშვილი

თამაზ ფოლოდაშვილი

თამაზ მოძღვრიშვილი